ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1569594

ნომერი: AR1261905

თარიღი : 30.10.2014

გაცემის თარიღი : 03.11.2014

გაცნობის თარიღი : 04.11.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარაზის ხევში ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი აბაშიძე პ/ნ 01031003397
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 20 ბ. 104

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1261905 30.10.2014 განაცხადის პასუხად, სადაც ითხოვთ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.14.14.010.002 საზოგადოებრივი კვების ობიექტის (რესტორანი) განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე საზოგადოებრივი კვების ობიექტის განთავსების მიზნით გაცემულია #283 14.03.2011 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. აღნიშნული ადმინისტრაციული აქტი ძალაშია გაცემიდან ხუთი წლის განმავლობაში, შესაბამისად შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ აღნიშნული პირობებით, რისთვისაც განაცხადი უნდა ატვირთოთ: ელექტრონული განცხადებები–საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა–ასლის–ზოგადი ინფორმაციის გამოთხოვა. იმ შემთხვევაში თუ არ გნებავთ ისარგებლოთ აღნიშნული ადმინისტრაციული აქტით თავდაპირველად უნდა მოითხოვოთ მისი გაუქმება, რისთვისაც უნდა მოგვმართოს ადმინისტრაციული აქტის მფლობელმა ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ/უფლებამოსილმა პირმა. ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დასადგენად დამატებით უნდა წარმოადგინოთ :

1. ესკიზური პროექტი Pdf ფაილი;
2. საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურულ ანალიტიკური კვლევა.
3. საპროექტო მიწის ნაკვეთის ამსახველი ფოტომასალა;

ვინაიდან მიწის ნაკვეთი მდებარეობს სახელმწიფო დაცვისა და ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში საკითხი გადაიგზავნება საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროში განსახილველად.

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 12 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2014 წლის 30 ოქტომბერს, საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 3 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნის დასაზუსტებლად და მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, რის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 9 სამუშაო დღე. თუ განმცხადებლის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება დაზუსტებული მოთხოვნა საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.